



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
ACADEMY OF AGRICULTURAL
SCIENCE OF GEORGIA

სეკონდარული



თბილისი
2014

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ აგრარული დარგის მეცნიერების მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევების საფუძველზე, მოამზადა რეკომენდაციების კრებული, რომლის გამოყენებით მომხმარებელს შესაძლებელი ექნება მიიღოს დამატებითი შემოსავლები.

რეკომენდაციებს განზოგადოებისათვის მიცემული აქვს თანმიმდევრული სახე, დარგობრივი პრიორიტეტების მიხედვით: 1. აგრონომიული. 2. მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოების და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების, 3. აგროსაინჟინრო, 4. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და გადამუშავების 5. ეკონომიკური, რაც შეესატყვისება აკადემიის შესაბამის სამეცნიერო სტრუქტურებს.

რეკომენდაციები გამოსაცემად მოამზადა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა დეპარტამენტმა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

რეკომენდებული ღონისძიებები მოცემულია მოკლე ანოტაციის თანდართვით. რეკომენდებული ღონისძიებების გამოყენების მსურველ მომხმარებლებს (ფერმერებს, პრაქტიკოს სპეციალისტებს და ა.შ.) მათზე პრაქტიკულად დახმარების მიზნით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ დეპარტამენტს (თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51, E-mail: acad.as@gaas.dsl.ge. Tel/Fax: (+995 32)294 13 21), რომელიც აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაგაკავშირებთ რეკომენდაციების ავტორებთან დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

დარგების მიხედვით რეკომენდაციების მომზადებაში მონაწილეობდნენ:

სსმმ აკადემიის აკადემიკოსები - ბ. მარბველაშვილი, ნ. ჩხარტიშვილი, ვ. კვალაიაშვილი, ბ. ცაბუაშვილი, ჯ. ონიანი, ე. ბუბუაშვილი, რ. მახარაძე, ჯ. კაციტაძე, ნ. ბაღათურიანი, ნ. ქარქაშაძე, ო. ქუთელიაშვილი.

სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტები - ო. ლიპარტიანი, ბ. ნიკოლეიშვილი, ე. შაფაძე.
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი - ნ. კაპაბაძე

რედაქტორები: სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ბ. ჯაფარიძე;
სსმმ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. შაფაძე.

I. აბრონომიული სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი
გოგოლა მარგველაშვილი

№ რიგ-ზე	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების მოკლე ანოტაცია	გამოსაყენებლად რეკომენდებული რაიონები
1	2	3	4
1.1.	ქერის ახალი ჯიში “ზეს 5”	ქერის ახალი ჯიში “ზეს 5” მიღებულია საშემოდგომო ქერის ჯიში “ყაზბეგი 1”-დან გამა დასხივებით. ჰექტარზე საშუალოდ იძლევა 5,7 ც/ჰა-ს.	აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის.
1.2.	საშემოდგომო ხორბლის მოსავლის პროგნოზი	საშემოდგომო ხორბლის ვეგეტაციის პერიოდში (მარტი-ივნისი) შექმნილი აგრომეტეოროლოგიური პირობების მოსავლის ოდენობაზე გავლენის შესწავლის საფუძველზე მიღებულია პროგნოსტიკული მეთოდი – “ამინდი და ხორბლის მოსავალი”.	საქართველოს ყველა რაიონებისათვის.
1.3.	საშემოდგომო ქერისა და სიმინდის აზოტით კვების ოპტიმიზაცია შავმიწა ნიადაგზე.	გარე კახეთის ზეგანის შავმიწა ნიადაგზე და ანალოგიურ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში საშემოდგომო ქერის (ჯიში „ძველ-თესლი“) და სიმინდის (ჯიში „აჯამეთის თეთრი“) მოყვანისას რეკომენდებულია აზოტიანი სასუქების დიფერენცირებული შეტანა ფოსფორით ნიადაგის უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებით. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - ყოველ დახარჯულ 1 ლარზე უკუგება იქნება 3-6 ლარი; არ დაბინძურდება გარემო.	გარდაბნის რაიონი.
1.4.	სიმინდის მარტივი	სიმინდის მარტივი ხაზთა-	ჰიბრიდი წილკანი

	<p>ხაზთაშორისი ჰიბრიდი “წილკანი – 1” გამოყვანილი იქნა ქართული ხაზ “აბაშური ყვითელი 30”-ის შეჯვარებით ამერიკულ ხაზ “მო-17”-თან, რომელიც დაარეგისტრირა საქპატენტმა 2012 წელს.</p>	<p>შორისი ჰიბრიდი “წილკანი 1” გამოყვანილია ქართულ ხაზ “აბაშური ყვითელი 30”-ის (მდედრობითი) და ამერიკულ ხაზ “მო-17”-ის (მამრობითი) ურთიერთშეჯვარებით. ორივე ხაზი წლების განმავლობაში ისწავლებოდა, როგორც სამეურნეო, ისე ბიოლოგიური ფიზიოლოგიური და გენეტიკური თვისებების მიხედვით. ასევე იცდებოდა წლების განმავლობაში ჰიბრიდი საკონკურსო გამოცდაში, სადაც მან აჯობა სტანდარტ “ენგურს” 12 ტ/ჰა მარცვალში</p>	<p>1 არის უნივერსალური მიმართულებების, როგორც სასურსათო, ისე სამარცვლედ და საფურაჟედ. რეკომენდებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სიმინდის მთესველი რაიონებისათვის.</p>
1.5.	<p>მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი “წილკანი 2” გამოყვანილია ქართული ხაზი “ერ – 44”-ის (მდედრობითი) და ამერიკული ხაზი “ბი-73” (მამრობითი) ურთიერთშეჯვარებით, რომელიც დარეგისტრირებულია საქპატენტის მიერ 2012 წელს.</p>	<p>სიმინდის მარტივი ხაზთაშორისი ჰიბრიდი “წილკანი 2” გამოყვანილია ადგილობრივი ხაზის ქართული “ერუგი 44”-ის შეჯვარებით ამერიკულ ხაზ “ბი-73”-თან. ამ ორი ხაზის შეჯვარებით გამოყვანილი იქნა ჰიბრიდი “წილკანი 2”, რომელმაც წლების განმავლობაში საკონკურსო ჯიშთაგამოცდის შედეგად აჯობა სტანდარტ “ენგურს” საშუალოდ 1.0 ტ/ჰა მარცვალში</p>	<p>ჰიბრიდი “წილკანი 2” არის სამარცვლედ მიმართულებების, ის რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს როგორც სარწყავ, ისე ურწყავ რაიონებისათვის 2013 წელს დამზადებულია მისი 1 თაობის თესლი, 1 ტ. რომელიც შეიძლება დაითესოს რეკომენდებულ რაიონებში 50 ჰა-ზე.</p>
1.6.	<p>სიმინდის სინთეტიკური ჰიბრიდი “ბექა” გამოყვანილია ნარინჯისფერი კაჟა, კბილა და ნახევრად კბილა ადგილობრივი და უცხოური სიმინდის ფორმების ურთიერთშეჯვარებით. დაპატენტებულია საქპატენტის მიერ 2012 წელს.</p>	<p>სიმინდის სინთეტიკური ჰიბრიდი “ბექა” და მისი მშობლიური ჯიშები ისწავლებოდა წლების განმავლობაში სამეურნეო, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და გენეტიკური ნიშნების მიხედვით, მათ შორის ახლად გამოყვანილი ჰიბრიდი “ბექა” ისწავლებოდა წლების განმავლობაში საკონკურსო გამოცდაში</p>	<p>ჰიბრიდი “ბექა” რეკომენდებულია სამარცვლედ საქართველოს სიმინდის მთესველი ყველა რაიონისათვის; 2013 დამზადებულია ჰიბრიდული თესლი 0,5 ტ, რომელიც შეიძლება დაითესოს საწარმოო პი-</p>

		და მან სტანდარტ ჰიბრიდ “ქართულ 9”-ს აჯობა საშუალოდ 1,0 ტ/ჰა-ზე მარცვალში.	რობებში 25 ჰა-ზე.
1.7.	საქართველოს პირობებში წიწიბურას სამჯერადი მოყვანა	წიწიბურა წარმოადგენს მოკლე ვეგეტაციის მქონე მცენარეს. საქართველოს გარკვეულ ეკოლოგიურ პირობებში შესაძლებელია მისი სამჯერადი მოყვანა. ფუტკრის დამტვერვის შემთხვევაში 1 ჰა-ზე წიწიბურას მარცვლის მოსავალი იზრდება 2-2,5 ცენტნერით.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის
1.8.	დასეტყვილი ვენახის დაჩქარებული აღდგენისა და მოვლის ფოტოტექნიკური ღონისძიებები	რეკომენდაცია შემუშავებული და გამოყენებული იქნა გურჯაანის (კახეთი) რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში, 150 ჰა-ზე 2012 წლის 29 ივლისს მოსულ ძლიერ დასეტყვილ ვენახში. გასხვლისას გამოყენებული იქნა ძლიერ დაზიანებული რქების ბაზალური ზონის (1-3 კვირტი) ნაწილობრივ გადარჩენილი კვირტები; შედეგად ყოველ ჰა-ზე საშუალოდ მიღებული იქნა 3,5-4,0 ტონაზე მეტი ყურძენი, მაშინ როდესაც მეზობლად მდებარე ვენახებიდან ჩვეულებრივი გასხვლის შედეგად მოსავალი უმნიშვნელო რაოდენობით ან საერთოდ არ იქნა მიღებული. რეკომენდებული წესით გასხვლის შედეგად ვაზის ფორმა სრულყოფილად იქნა აღდგენილი.	მევენახეობის ყველა რაიონში
1.9.	გაზაფხულის წაყინვებისაგან დაზიანებული ვაზის მოვლა	2014 წლის ადრე (აპრილის II ნახევარი) გაზაფხულზე წაყინვების შედეგად განსაკუთრებით დაზიანდა გურია-სამეგრელოს და აჭარის ვენახების დიდი ნაწილი. დაზიანდა	გურია-სამეგრელო, აჭარის, ქვემო იმერეთის რაიონებში

	<p>გაყივებული კვირტები და ნორჩი, მოზარდი ყლორტები. მოცემულ ფაზაში ვაზის გასხვლა მიზანშეწონილი არ იყო. შემუშავდა რეკომენდაცია: გასხვლის აუცილებლობა გადაწყდეს წაყინვების გავლიდან 10-15 დღის შემდეგ; გასხვლას წინ უნდა უძლოდეს დაზიანების ხასიათი და ხარისხი: თუ მთლიანად დაზიანებულია ძირითადი მოსავლიანი კვირტები და ყლორტები, შემცველი კვირტებიც, მაშინ</p> <p>I შემთხვევა: რეკომენდებულია ყველა დაზიანებული რქის ბაზისთან მოჭრა (გასხვლა). მეორადი ყლორტები განვითარდებიან მძინარე კვირტებიდან შტამბისა და მხრის ნაწილებიდან, რომლებიც ზოგჯერ მოსავლიანია. ყურადღება უნდა გამახვილდეს მეორადი (ამონაყარი) ყლორტების დანორმებაზე, მათ გადაადგილებაზე, ვაზის ფორმის აღსადგენად; ამ სახის დაზიანებას თითქმის ადგილი არ ჰქონია.</p> <p>II შემთხვევა: - დაზიანებულია მხოლოდ პირველადი ნაზარდი-ყლორტი. ამ შემთხვევაში გასხვლა რეკომენდებული არ არის; უნდა დავეყრდნოთ შემცველი და მარტივი კვირტებიდან განვითარებულ ყლორტებს, რომლებიც ნაწილობრივ მოსავლიანია.</p> <p>III შემთხვევა: დაზიანება სუსტია, მხოლოდ ფოთლის კიდურებია დაზიანებული; ყლორტები</p>	
--	--	--

		განაგრძობენ ზრდას; უნდა გაგრძელდეს მოვლის ღონისძიებები. რეკომენდაცია მიეცა ფიტოტექნიკური ღონისძიებების განხორციელებას: შტამბის ამაღლება, გვიან გასხვლა და გვიან შეყვება და სხვ.	
1.10.	13. წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ახალი ჯიში „გორის წითელი“	ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალოზე დიდია (240-650გ); მარცვალი საკმაოდ წვნიანია (წვენის გამოსავლიანობა 76%), სასიამოვნო, ტკბილი, მცირე მომჟავო გემოთი. რბილობი ღია მწვანეა; წვენი ღია წითელი-ლალისფერია. გორში მწიფდება ოქტომბრის შუა რიცხვებში და შაქრიანობა აღწევს 26%-ს, მჟავიანობა 6,5 გ/დმ ³ . უხვმოსავლიანია. იძლევა საუკეთესო მასალას ხარისხოვანი ვარდისფერი სამარკო (შამპანური) ღვინის დასამზადებლად.	რეკომენდებულია კახეთს, შიდა და ქვემო ქართლის მევენახეობის ზონებში გასაშენებლად.
1.11.	ფერმერულ მეურნეობებში ვენახის გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია	ფერმერულ მეურნეობებში ვენახის გაშენებისა და მოვლის ტექნოლოგია ითვალისწინებს ვაზის სამწლიან და შემდგომ პერიოდებს, უახლესი პრეპარატებისა და მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.	რეკომენდებულია საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონში.
1.12.	ვაზის ფილოქსერაგამძლე საძირეთა და სანამყენეთა საბაზისო სადედების მოწყობა	ვირუსებისა და ვირუსებისმაგვარი დაავადებების გადამტანებისაგან (ნემატოდები და ა.შ.) თავისუფალ იზოლირებულ ტერიტორიაზე გაშენება: ვაზის უვირუსო ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედე; სანამყენეთა საბაზისო	რეკომენდებულია საქართველოს მევენახეობის ყველა რაიონში.

		სადედები – ვირუსებზე ტესტირებული სანამყენე მასალით და უვირუსო ფილოქსერაგამძლე საძირეებით წარმოებული მწვანე ვეგეტირებული სანამყენე ნერგით; საფუძველი ჩაყვრება სერტიფიცირებული ნერგის წარმოებას.	
1.13.	ატმის ახალი ჯიში „ვახტანგური“	ნაყოფი მსხვილია (73 x 66 x 65 მმ); საშ. 150-180გ, ხშირია მეტი მასის. კანი შებუსულია; ღია ყვითელია მზის მხარეზე ღამაში წითელი ღაქებით. რბილობი კრემისფერია; მკვრივი კონსისტენციის, სახრავია, ნაკლებად წვნიანი. გემრიელია, შაქრიანობა 10,2%, მუავიანობა 0.63 გ/დმ ³ , კურკა 5%-ია. მწიფდება “ხიდისთავის ყვითელ საგვიანოზე” უფრო გვიან -ოქტომბრის მეორე ნახევარში. უხემოსავლიანი სასუფრე-საკომპოტე ჯიშია. ბაზარზე მაღალი მოთხოვნადი და უკონკურენტოა.	რეკომენდებულია კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის ატმის წარმოების ზონებში გასაშენებლად.
1.14.	ციტრანჟი F ₃ -ის (ფორთოხალიX ტრიფოლიატა) ნერგების წარმოება	ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით 40 ტ/ჰა. ეინვაგამძლეა – 150°C. მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით. გამოიყენება მატონიზირებელი სასმელების დასამზადებლად.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის.
1.15.	ციტრუსოვანთა დაკნინებული ბაღების აღდგენის აგროტექნიკური ღონისძიებების სისტემა	ღონისძიება ითვალისწინებს: ბაღების დაკნინების მიზეზების გამოვლენას, მცენარეებზე მექანიკურად დაზიანებული დერო ტოტების მოცილებას, შტამბის სპეციალური მაღამოთი დამუშავებას. ორგანული და	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის.

		მინერალური კვების მოწესრიგებას; მანებელ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გამოყენებას. ეკონომიკური ეფექტი 2000-3000 ლარი/ჰა.	
1.16.	ქართული ბამბუკის ნერგების წარმოება	იძლევა მეტ ამონაყარს, ღერო სწორმდგომია, ყინვაგამძლე.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის.
1.17.	ორგანული-მინერალური სასუქების შეტანის წესების და ვადების ოპტიმიზაცია სიმინდის (ჯიში “ბალტისი”) კულტურისათვის	ორგანული-მინერალური სასუქების ერთობლივი შეტანა (10ტ.ნაკელი + N ₆₀ P ₆₀ K ₆₀ ყოველწლიურად) უზრუნველყოფს 50.8 ც/ჰა სიმინდის მარცვლის მოსავალს, რაც უსასუქოსთან შედარებით შეადგენს მატებას 30.1 ც/ჰა, ხოლო ფონთან 24.9 ც/ჰა.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ და ურწყავ რაიონებისათვის
1.18.	ორგანული-მინერალური სასუქების შეტანის წესების და ვადების ოპტიმიზაცია შვრიის კულტურისათვის, გარე კახეთის შავმიწა ნიადაგებზე	შვრიის მარცვლის ყველაზე მაღალი მოსავალი 39.9ც/ჰა მიღებულია N ₁₂₀ P ₉₀ K ₉₀ – დოზის შეტანისას, მატება უსასუქოსთან შედარებით შეადგენს 28.5 ც/ჰა-ს, ხოლო აგროფონთან – 19.4 ც/ჰა.	რეკომენდებულია გარე კახეთის შავმიწა ნიადაგების ზონისათვის
1.19.	ცეოლითების გამოყენება ციტრუსების პლანტაციებში ნიადაგის გასანოყიერებლად	აღნიშნული ღონისძიებით იზოგება სასუქების გამოყენება, უმჯობესდება მცენარეთა მიერ საკვებ ნივთიერებათა შეთვისება, მოსავლიანობა იზრდება 15-18%-ით.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული ზონისათვის.
1.20.	მცენარეთა მარილგამძლეობის და გვალვაგამძლეობის უნარის ამაღლება	დამლაშების საწინააღმდეგო ღონისძიებად მცენარეთა მარილგამძლე ჯიშების შექმნა უზრუნველყოფს დამლაშებულ ნიადაგებზე კულტურულ მცენარეების მოსავლიანობის გადიდებას. მცენარეთა მარილგამძლეობის და გვალვაგამძლეობის უნარის ამაღლების	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებისათვის

		<p>თესლის თესვისწინა გამოწრობის მეთოდი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ემბრიონულად ახალგაზრდა მცენარეთა თესლის მაღალი პლასტიკურობა და შევაგუოთ ის არახელსაყრელ გარემო პირობებს.</p> <p>ქლორიდების სიჭარბის შემთხვევაში კარგ ეფექტს იძლევა თესლის თესვისწინა დამუშავება 3%-იანი NaCl-ის ხსნარით, სულფატებით დამლაშების შემთხვევაში საუკეთესოა 0.2% MgSO₄-ის ხსნარით თესლის თესვისწინა გამოწრობის მეთოდით. აღნიშნული ღონისძიება ეფექტურია სუსტად და საშუალოდ დამლაშებულ ნიადაგებზე.</p>	
1.21.	<p>ფოსფორიანი სასუქების გამოყენება მარცვლეულ კულტურებში (საშემოდგომო ხორბალი, სიმინდი) ბაზალეთის ზეგანის ყავისფერ კარბონატულ ნიადაგებზე.</p>	<p>რეკომენდაცია ითვალისწინებს ფოსფორიანი სასუქის რაციონალური დოზით გამოყენებას აზოტ-კალიუმიანი სასუქების ოპტიმალური დოზების ფონზე; სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - მოსავლიანობა გაიზრდება 150-200%-ით, ფართობის ერთეულზე გაწეული ხარჯები 2,0-2,5-ჯერ ანაზღაურდება.</p>	<p>რეკომენდებულია დუშეთის რაიონისათვის.</p>
1.22.	<p>ფოსფორიანი სასუქების გამოყენება ბოსტნეულ კულტურებში (კომბოსტო, პომიდორი) შიდა ქართლის მდელოს ყავისფერ ნიადაგზე.</p>	<p>რეკომენდაცია ითვალისწინებს ფოსფორიანი სასუქის ოპტიმალური დოზით შეტანას ძირითადი საკვები ელემენტების ოპტიმალური შეფარდების პირობებში; სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - გაიზრდება მოსავლიანობა 100-150%-ით, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. არ დაბინძურდება გარემო.</p>	<p>რეკომენდებულია ხაშურის, გორის, კასპის და მცხეთის რაიონებისათვის.</p>

1.23.	<p>ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენება კარტოფილში სამხრეთ საქართველოს ყავისფერ-კარბონატულ ნიადაგებზე.</p>	<p>ფოსფორით ღარიბ ყავისფერ-კარბონატულ ნიადაგებზე რეკომენდებულია ფოსფორიანი სასუქის რაციონალური დოზით შეტანა აზოტ-კალიუმიანი სასუქების ფონზე; სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - ყოველ დახარჯულ 1 ლარზე უკუგება იქნება 6-7 ლარი; არ დაბინძურდება გარემო.</p>	<p>რეკომენდებულია ახალციხის რაიონისათვის.</p>
1.24.	<p>რთული სასუქების გამოყენება მარცვლეულ და ბოსტნეულ კულტურებში.</p>	<p>შირაქის ურწყავ შავმიწებზე და ქვემო ქართლის რუხ-ყავისფერ ნიადაგებზე მარცვლეული და ბოსტნეული კულტურებისთვის რეკომენდებულია ამოფოსის, ნიტროამოფოსის, კარბოამოფოსის, თხევადი კომპლექსური სასუქის, მყარი ამონიუმის პოლიფოსფატის, სუპერფოსის და ამოფოსფატის გამოყენება. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - გაიზრდება მოსავლიანობა 100-150%-ით, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ხარჯები 2-2,5-ჯერ ანაზღაურდება.</p>	<p>რეკომენდებულია დედოფლისწყაროს და გარდაბნის რაიონებისათვის.</p>
1.25.	<p>ფოსფორიანი სასუქების რაციონალური გამოყენება საშემოდგომო ხორბალში შირაქის შავმიწა ნიადაგებზე.</p>	<p>ფოსფორით ღარიბ შავმიწა ნიადაგზე საშემოდგომო ხორბლისთვის (ჯიში „უფხო I“) რეკომენდებულია ფოსფორიანი, აზოტიანი და კალიუმიანი სასუქების რაციონალური დოზები. . სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - გაიზრდება</p>	<p>რეკომენდებულია დედოფლისწყაროს რაიონისათვის.</p>

		მოსავლიანობა 100-110%-ით. უკუგება ყოველ დახარჯულ 1 ლარზე იქნება 6-7 ლარი;	
1.26.	ახალი კონცენტრირებული ფოსფორიანი სასუქის – სუპერფოსის რაციონალურად გამოყენება საადრეო კარტოფილისთვის ქვემო ქართლის ვაკის ღია ყავისფერ ნიადაგზე.	რეკომენდაცია ითვალისწინებს მაღალ პროცენტის (40%) ფოსფორიანი სასუქის - სუპერფოსის რაციონალური დოზით გამოყენებას აზოტ-კალიუმიანი სასუქების ოპტიმალური დოზების ფონზე. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - გაიზრდება მოსავლიანობა 100-120%-ით. გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. უკუგება ყოველ დახარჯულ 1 ლარზე იქნება 7-8 ლარი; არ დაბინძურდება გარემო.	რეკომენდებულია მარნეულის რაიონისათვის.
1.27.	ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების პერიოდული შეტანა მარცვლეულ კულტურებში შირაქის შავმიწა ნიადაგში.	სასუქების შეტანასთან დაკავშირებული სამუშაოების გაადვილებისთვის, მინდვრის სამუშაოების დაძაბულობის შენელებისთვის, სამუშაო ძალის ეკონომიისა და სასუქების შეტანაზე გაწეული ხარჯების შემცირებისთვის, შირაქის შავმიწა ნიადაგებზე რეკომენდებული ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები მარცვლეული კულტურების გასანოყიერებლად შეტანილ იქნეს 2 ან 4 წელში ერთხელ.	რეკომენდებულია დედოფლისწყაროს რაიონისათვის.
1.28.	ფოსფორიანი სასუქების ოპტიმალური დოზები შაქრის ჭარხლისა და სიმინდისათვის ფოსფორით სხვადასხვა ხარისხით უზრუნველყოფილ	შიდა ქართლის მდელის ყავისფერ ნიადაგებსა და ანალოგიურ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებში შაქრის ჭარხლის ჯიში „ვერხნიაჩსკაია” და	რეკომენდებულია ხაშურის, გორის და ქარელის რაიონებისათვის.

	შიდა ქართლის მდელის ყავისფერ ნიადაგებზე.	სიმინდის ჯიში „სტერლინგის“ მოყვანისას რეკომენდებულია ფოსფორიანი სასუქების ოპტიმალური დოზები ფოსფორით ნიადაგის უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებით. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი : - გაიზრდება მოსავლიანობა 80-120%-ით. გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ხარჯები 2-2,5-ჯერ ანაზღაურდება.	
1.29.	მცენარეთა დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების გამოყენება მარცვლოვან კულტურებში.	რეკომენდებულია: თესლის დამუშავება-რაფლიქსით; კალკუგით; ნათესებში სარეველების წინააღმდეგ გამოიყენება ლინტური 2,4 დ დიკამბა; მავნე მწერების წინააღმდეგ გამოიყენება ფოსფორორგანული პრეპარატები, რომლებიც არ ავლენენ ფოტოტოქსიკურობას და არ რჩებიან ნაშთის სახით მარცვალში.	რეკომენდებულია საქართველოს მარცვლოვანი კულტურების მთესველ ყველა რაიონში.
1.30.	მცენარეთა დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო საშუალებების გამოყენება ციტრუსოვანთა კულტურებში.	რეკომენდირებულია: ციტრუსოვანთა მევენებლების წინააღმდეგ – ორტუსი, ნურედი; ბიოლოგიური პრეპარატი – აშერსონია.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის
1.31.	ნიადაგში ბინადარ მცენარეთა აგრესიული მავნებლების წინააღმდეგ ახალი პრეპარატიული ფორმების გამოყენება	რეკომენდებულია: ეკოლოგიურად უსაფრთხო გრანულირებული პრეპარატები ფოსფორორგანული პირექტოიდულ საწყისებზე ადგილობრივი ბუნებრივი ცეოლითების (კლინეფტოლოილითი) გამოყენებით.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.32.	პათოგენურ-ანაერობული მიკროორგანიზმების რეზისტენტული პოპულაციების წინააღმდეგ ანტიბიოტიკების	სხვადასხვა მოქმედების მექანიზმების ანტიბიოტიკების როტაციული სისტემით გამოყენება ინფექციის გამოვლინებისთანავე.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის

	გამოყენების ახალი ტექნოლოგიები	რომლის დანერგვაც მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში, გარდა მაღალი ბიოლოგიური და ეკოლოგიური ეფექტურობისა, გამოყენებიდან დიდი ხნის განმავლობაში გამორიცხავს მათ მიმართ ობიექტის რეზისტენტობის დაწყებისა და განვითარების პროცესს.	
1.33.	ბიოლოგიურ პრეპარატ ვერტიმეკის გამოყენება ციტრუსებში ცეცხლა ტკიპას წინააღმდეგ	ვერტიმეკის 0,5%-იანი საშუალო ხსნარის გამოყენება ცეცხლა ტკიპას წინააღმდეგ 90%-ით ამცირებს მის ზიანს ციტრუსოვნებში.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.34.	ფუნგიციდი სკორი ციტრუსოვანთა დაავადებების წინააღმდეგ	სკორის 0,1%-იანი კონცენტრაციის გამოყენებით 30-40%-ით მცირდება ციტრუსოვანთა დაავადებები.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.35.	ჰერბიციდი ნოკდაუმი ჩაის პლანტაციებში სარეველა გვიმრას წინააღმდეგ	ნოკდაუმის გამოყენებით ჩაის პლანტაციებში გვიმრის მოსპობა გარანტირებულია ერთი წლით, ხოლო შემდგომში ის მცირე რაოდენობით ამოდის.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.36.	პამიდორის დაბალმოზარდი ჯიში „საადრეო“	საწყისი მასალა მიღებულია 2007 წელს მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. აღმოცენებიდან სიმწიფის დაწყებამდე მცენარეს ჭირდება 70 დღე. მოსავლიანობა 60ტ/ჰა, მოსავალს იძლევა აგვისტოს ბოლომდე. რეკომენდებულია საკონსერვოდ.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.37.	პამიდორის მაღალმოზარდი ჯიში „არაგვი“	ადგილობრივი ჯიშია. მიღებულია ხალხური სელექციით ჩამოყალიბებული „ჭოპორტულას“ ინდივიდუალური გამორჩევის გზით. მოსავლიანობა 45 ტ/ჰა. ჯიში საგვიანოა და	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის

		მოსავალს იძლევა ნოემბრის ბოლომდე. რეკომენდებულია სასუფრე-სასაღათედ.	
1.38.	პამიდორის მაღალმოზარდი ჯიში „ვარდისფერი ჭოპორტულა“	ადგილობრივი, საშუალო-საგვიანო, სიცვივის ამტანი, მაღალმოსავლიანი ჯიშია. მისი ფორმირება აუცილებელია საყრდენზე. მოსავლიანობა საყრდენზე- 50 ტ/ჰა, უსაყრდენოდ 36 ტ/ჰა. რეკომენდირებულია სასუფრე-სასაღათედ.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.39.	საბოსტნე სოია, ჯიში „საბოსტნე 1“	საწყისი მასალა მიღებულია 2007 წელს მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. ჯიში გამძლეა დაავადებების: ბაქტერიოზი, ფუზარიოზი, სეპტორიოზი, მოზაიკა-მიმართ. მაღალი მოსავლის მისაღებად ჰა-ზე მცენარეთა დგომის სისშირე უნდა იყოს 95 ათასი ცალი, მწკრივებს შორის მანძილი-70 სმ, მწკრივში მცენარეთა შორის მანძილი-15 სმ.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.40.	საბოსტნე სოია, ჯიში „მწვანეპარკიანი“	საწყისი მასალა მიღებულია 2007 წელს მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან. ჯიში გამძლეა დაავადებების: ბაქტერიოზი, ფუზარიოზი, პერონოსპოროზის მიმართ. ერთ მცენარეზე ფორმირდება 120 ცალი პარკი. ტექნიკურ სიმწიფეში პარკების მოსავლიანობა შეადგენს 170 ცენტნერს/ ჰა-ზე, ბიოლოგიურ სიმწიფეში თესლის მოსავლიანობა შეადგენს 70 ც/ჰა-ზე.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.41.	საბოსტნე ლობიო, ჯიში „მრავალმარცვალა“	საწყისი მასალა მიღებულია მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრიდან 2007 წელს. ჯიში არის მაღალმოზარდი, ხვიარა წვერით. მწვანე პარკების მოსავალი შეადგენს 16	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის

		ცენტნერს/ჰა-ზე, ხოლო თესლის მოსავალი 12 ც/ჰა-ზე. ჯიში არის არაცვენადი, მალეხარშვადი, საუკეთესო გემური თვისებების.	
1.42.	სამარცვლე ლობიო, ჯიში „გარდაბნული ჭრელა“	ადგილობრივი „დაბალმოხარდი ჯიშია. მიღებულია მშობელი ჯიშების: „წითელი 41“ და „ადგილობრივი წითელი“-ს შეჯვარებით. ის არის საპარკე-სამარცვლე მიმართულების. ჯიში გამძლეა მავნებლის-„ლობოს მემარცვლია“-ს მიმართ. ახასიათებს უბეწვო(უფხო) , ნაზი პარკები.	რეკომენდებულია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.43.	ეკოლოგიურად უსაფრთხო ბოსტნეულის მოყვანა საქართველოში წარმოებული ბიოლოგიური პრეპარატით.	ნაკვეთის დამუშავება იწყება წინამორბედი კულტურების ანარჩენების გაწმენდით. შეგვაქვს თხევადი ორგანული სასუქი „ორგანიკა“, მზის ამოსვლამდე ან მზის გადასვლის შემდეგ და ვხნავთ (წინმხვნელიანი) გუთნით 26-28 სმ სიღრმეზე. „ორგანიკა“ არის ქართული წარმოების სასუქი და განკუთვნილია ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მოსაყვანად. ის ხელს უწყობს ნიადაგის თვისებების გაუმჯობესებას, მატულობს ჰუმუსის დონე, უმჯობესდება ნიადაგის აგრეგატული მდგომარეობა, პამიდორის და წიწაკის ნაყოფებს უნარჩუნდება ბუნებრივი არომატი, მატულობს ვიტამინების შემცველობა, გამორიცხებულია ნიადაგში, მცენარეში, ნაყოფში ნიტრატების შემცველობა, მცენარეები გამძლეები	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის

		<p>არიან სტრესის მიმართ და რაც მთავარია, მოსავლიანობა იზრდება 15-20 % .(1 ჰა-ზე საჭიროა 6-10 ლიტრი „ორგანიკას“ გახსნა 300 ლიტრ წყალში და მოსხმა ნიადაგის ზედაპირზე დამუშავებამდე)</p>	
1.44.	<p>მინერალური სასუქების გამოყენების ხერხი ხარისხიანი, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მისაღებად.</p>	<p>სასიდერაციო ეფექტური პარკოსნების და ორგანული სასუქების ფონზე გამოიყენება კომპლექსური სასუქები. ასე მაგ: ნიტროფოსი. მასში აზოტია 23%, ფოსფორი 46 % და კალიუმიც 46%. იგი წარმოადგენს გრანულს. 1000 გრანულის წონა შეადგენს 20-25 გრამს. ხორბლისათვის ნიტროფოსის შეტანა თესვის დროს ჰა-ზე 200 კგ-ის რაოდენობით, მთლიანად დაფარავს ფოსფორის და კალიუმის ნორმებს, რაც შეეხება აზოტს, მის დანაკლის მნიშვნელოვნად გადააჭარბებს კიდევ პარკოსანი მცენარის ფესვებზე განვითარებული კოჟრებიდან მიღებული ბიოლოგიური აზოტი. კომპლექსური სასუქების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თვალსაზრისით. 200 კგ კომპლექსური სასუქი ღირს 300 ლარი. ამასთან გასათვალისწინებელია ის, რომ თითქმის სამჯერ მცირდება ხარჯები შენახვაზე, ტრანსპორტირებაზე და ნიადაგში შეტანაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპლექსური</p>	<p>რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის</p>

		სასუქები შედარებით ნაკლებად ქროლდება და ირეცხება ნიადაგის ქვედა ფენებში, ნაკლებად შეიცავენ უსარგებლო მინარევებს და მცენარის ფესვთა სისტემა უფრო ადვილად ითვისებს მათში არსებულ ყველა საკვებ ელემენტს, რაც დადებითად მოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.	
1.45.	თეთრთავიანი კომბოსტო, ჯიში „ლიკანი“	მიღებულია ადგილობრივი ჯიშის „ბორჯომის იდეალი“-საგან გამაუმჯობესებელი, მასობრივი გამორჩევით. სავეგეტაციო პერიოდი შეადგენს 165 დღეს. თავის მასა 3-3,5 კგ-ია. მოსავლიანობა 55 ტ/ჰა-ზე. გამორჩეულია ხანგრძლივი შენახვის უნარიანობით.	რეკომენდებულია სამხრეთ საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.46.	თეთრთავიანი ხახვი, ჯიში „ლიზი“	ლიზი გამოყვანილია ჯიშიდან „სტანდარტ ბეილ“ მასობრივი გამორჩევის მეთოდით. ნახევრად ცხარე, მრგვალი ფორმის, თეთრი ფერის რბილობი ახასიათებს. აღმოცენებიდან სრულ ბიოლოგიურ სიმწიფემდე საჭიროებს 110 დღეს. ბოლქვის მოსავლიანობა სარწყავ ზონაში, მაღალ აგროფონზე შეადგენს 45 ტ/ჰა-ზე. თესლის კი 3 ც/ჰა-ზე.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის
1.47.	ბოსტნეულის მოყვანა ორმინდვრიანი კორდიანი მინითესლბრუნვით	ამ ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მცენარის კვების არეს ფარგლებში ნიადაგის ნახევარი მუშავდება და მასზე იწარმოება ერთწლოვანი სათოხნი კულტურები, ხოლო მეორე ნახევარზე შენარჩუნებულია სრული	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის

		<p>ბუნებრიობა ან ითესება მრავალწლოვანი ბალახი. პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად ხდება ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება- ამაღლება. გარდა ამისა მესამე წლიდან, ყოველწლიურად შესაძლებელია ნიადაგის დამუშავება და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება მხოლოდ ნაკორდალსა და ამობრუნებულ კორდზე, ნაბალახარზე.</p>	
1.48.	<p>სახელმძღვანელო ფერმერთა დასახმარებლად: “საქართველოს ძირითად საკვებ საშუალებათა ქიმიური შედგენილობა და ყუათიანობა”</p>	<p>სახელმძღვანელო მოიცავს: საკვებთა კლასიფიკაციას; ცხოველთა სრულფასოვანი კვების და ცალკეული ელემენტების ბიოლოგიურ მნიშვნელობას; საკვებთა ქიმიური შედგენილობას და ყუათიანობას; საკვებთა ვიტომინოვან, მინერალურ და ამინომჟავურ შედგენილობას, შაქრების შემცველობას.</p>	<p>რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის</p>
1.49.	<p>საკვები კულტურების აგროწესები</p>	<p>შემოთავაზებულ აგროწესებში ცალკეულ კულტურათა მიხედვით მოცემულია თანმიმდევრული აგროტექნიკური ღონისძიებები, რომელთა სწორად გამოყენებით შესაძლებელია საქართველოში საკვები კულტურების საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის 2-3-ჯერ გაზრდა.</p>	<p>რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონებისათვის. აგროწესები ახალი გამოცემისათვის მოამზადეს: სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. გ. ცაგურიშვილმა და სოფლის მეურნეობის აკადემიურმა დოქტორებმა ქ. ნიაურმა და ნ. ჟვანიამ.</p>
1.50.	<p>რეკომენდაციები “მცენარეთა ნორმალური ზრდა-განვითარებისა და</p>	<p>რეკომენდაციებში მოცემულია ნიადაგებში ჰუმუსის შემცველობის,</p>	<p>რეკომენდებულია საქართველოს ყველა</p>

<p>ნიადაგის დამუშავებისათვის საჭირო ოპტიმალური ტენიანობის პარამეტრების შესახებ.</p>	<p>მექანიკური შემადგენლობებისა და მოცულობითი წონების მიხედვით, მათი დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური და დასაშვები ტენიანობები და მორწყვის ნორმები.</p>	<p>რაიონებისათვის რეკომენდაციები მოამზადა სსმმ აკადემიის აკადემიკოსმა ჯ. ონიანმა. რეკომენდაციები განკუთვნილია ფერმერებისათვის, აგრონიადაგთმცოდნეებისათვის, აგრომელიორატორებისათვის, აგრონომებისათვის და წარმოებაში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის, აგრეთვე აგრარული მიმართულების მაგისტრებისა და დოქტორანტებისათვის.</p>
---	---	--

II. მეცხოველეობის, საკვებწარმოების, ვეტერინარიის და მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავების სამეცნიერო ბანყოფილება
აკადემიკოს-მდივანი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი
ზურაბ ცქიტიშვილი

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების მოკლე ანოტაცია	გამოსაყენებლად რეკომენდებული რაიონები
1.	2	3	4
2.1.	<p>საახალჯიშო შეჯვარების გამოყენებით მაღალპროდუქტიული ახალი ქართული ბოცვრის სახორცე-საქურქე ჯიშური ჯგუფის გამოყვანა.</p>	<p>საახალჯიშო შეჯვარების გამოყენებით, სახორცეცვა-ბეწვეული დედლების და აშშ-დან შემოყვანილი სახორცე პროდუქტიულობის ახალხელანდიური მამლების შეჯვარების შედეგად მიღებულ იქნა I,II,III და IV თაობა. მეოთხე თაობის ცხოველების „თავისში“, მოშენების შედეგად გამოყვანილია ბოცვრის ახალი სახორცე ჯიშური ჯგუფი, ცხოველების პროდუქტიულობა შესწავლილია 7 მოგების მონაცემით. მიღებულია 8366,0 ბაჭია, გამოზრდილია 5433 სული ბოცვერი მ.შ. 2002-</p>	<p>ახალი ქართული სახორცე ჯიშური ჯგუფის ბოცვრების მოშენების დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პოლულაციის ერთგვაროვნებას, პროდუქტიულობის რეგულირებას. რეკომენდებულია დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ბუნებრივ, კლიმატურ და</p>

		დედალი, 1086 მამალი, 2345 მოზარდი. ცოცხალი მასის მაჩვენებლებით სახორცე ჯიშური ჯგუფის ბოცვრები 15-18%-ით აჭარბებდნენ ხალასჯიშიან თანატოლებს. საკვების დანახარჯი 1 კგ. წონამეტზე 14-15%-ით ნაკლები აღენიშნათ საწყის ჯიშებთან შედარებით. გამოყვანილია მაგარი კონსტიტუციის შავი ბეწვოვანი საფარის მქონე მაღალპროდუქტიული ბოცვრები.	კვების პირობებთან კარგად შეგუების გათვალისწინებით პირად საკარმიდამო და ფერმერული მეურნეობებისათვის.
2.2.	ბოცვრის პროდუქტიულობის გაზრდა ორჯიშიანი სამრეწველო შეჯვარების გამოყენებით.	ორჯიშიანი სამრეწველო შეჯვარების საფუძველზე სახორცე (კალიფორნიული) და სახორცე-ტყავებწვეული ბოცვრების ჯიშის(“შინშილა”, ქართული სახორცე-საქურქე) გამოყენებითი ნაჯვარი ბოცვრები ქართული სახორცე კალიფორნიული, პროდუქტიული მაჩვენებლებით აღემატებოდნენ ხალასჯიშიან თანატოლებს – ნაყოფიერების 5%-ით, ცოცხალი მასით 10.0%-ით, ნაჯვარი ბოცვრები ხასიათდება მაღალი ხარისხის დიეტური ხორციით და ტყავ-ბეწვულებით.	ორჯიშიანი ბოცვრების მოშენება რეკომენდებულია გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებში აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით.
2.3	სამჯიშიანი შეჯვარების ეფექტურობა მებოცვრეობაში	მებოცვრეობის ფერმერულ მეურნეობებში, ბოცვრის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით სასურველია დაინერგოს სამჯიშიანი ნაჯვარები: ახალზელანდიური თეთრიXქართული სახორცე-საქურქეXრუხი გოლიათი: ნაჯვარი ბოცვრები სახორცე პროდუქტიულობით 12-14 %-ით, ნაყოფიერებით 3-4%-ით, აჭარბებენ ხალასჯიშიან თანატოლებს, ხასიათდებიან დაბალი თვითღირებულებით და რენტაბელობის მაღალი მონაცემებით.	სამჯიშიანი ნაჯვარი ბოცვრების მოშენება რეკომენდებულია, სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ფერმერულ და პირად საკარმიდამო მეურნეობებში.

2.4.	დარწყოლების სხვადასხვა სისტემების გამოყენება მეხორცულ მეფრინველეობაში	რეკომენდაციაში განხილულია სხვადასხვა კონსტრუქციის სარწყოლების გავლენა ბროილერის ზრდა – განვითარებაზე, მათ მიერ საკვების ათვისებაზე. დადგენილია, რომ ბროილერის გამოსაზრდელად ყველაზე ეკონომიურია მიკროფინჯნისებრი სარწყოლები, შემდეგ კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს ღარიანებრ სარწყოლებს.	რეკომენდებულია საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რაიონების ფერმერული მეურნეობებისათვის.
2.5.	მეცხოველეობის ფერმერულ მეურნეობებში ხელოვნური დათესვლის მეთოდის დანერგვა.	ხელოვნური დათესვლა ცხოველთა ჯიშობრივი გაუმჯობესების ყველაზე სწრაფი ხერხია. ადგილობრივი მსხვილფეხა პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების ხელოვნური დათესვლის გამოყენებით მიღებული პირველი თაობის ახალშობილი ნაჯვარი ხბოების ცოცხალი მასა 12-15 კგ-ით, სადღეღამისო წონანამატი 150-200 გრ-ით, ხოლო პირველნაყოლი ნაჯვარი ფურების სარძეო პროდუქტიულობა 500-600 კგ-ით მეტია ადგილობრივ პირუტყვთან შედარებით.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რეგიონში
2.6.	დარწყოლების სხვადასხვა სისტემების გამოყენება მეხორცულ მეფრინველეობაში	რეკომენდაცია ითავლისწინებს სხვადასხვა ტიპის სარწყოლების გავლენას ბროილერის პროდუქტიულობაზე და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რეგიონში
2.7.	თუთის მცენარის მრავალმიზნობრივი გამოყენებისათვის მეცხოველეობის არატრადიციული საკვების (ნეკერის) წარმოება.	მეაბრეშუმეობაში საშუალოდ ყოველ 1000 (ათას) ტონა ცოცხალი პარკის წარმოებაზე იხარჯება საშუალოდ 20,0 ათასი ტონა ქორფა ფოთოლი, ხოლო შემოდგომაზე, ზრდასრული გაუხეშებული ფოთლების საერთო მასა გაცილებით მეტია და გამოუყენებლად იკარგება. დადგენილია, რომ შემოდგომაზე გაუხეშებული 20,0 ათასი ტონა ფოთლის 40%	საქართველოს რეგიონებში, სადაც კულტივირებს თუთის მცენარე.

		რომ დამზადდეს, მიიღება 8,0 ათას ტონა ნედლეული, რაც ტოლფასია (50%) 4,0 ათასი ტონა მშრალი ნივთიერების ანუ 2,7 ათასი ტონა (0,68%) სრულფასოვანი საკვები ერთეულის, რითაც დიდად უმჯობესდება ქვეყნის მეცხოველეობის საკვები ბალანსი.	
2.8.	ქართული ფუტკრის გურული პოპულაციის ახალი ხაზი – “გ-6 სურები”	ქართული ფუტკრის გურული პოპულაციის ახალი ხაზი – “გ-6 სურები”, რომლის პროდუქტიულობა საწყისი მასალის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 22-22.5%-ით მეტია.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონებისათვის

III. აბროსაინჟინრო სამეცნიერო განყოფილება

აკადემიკოს-მდივანი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი
რევაზ მახარობლიძე

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების მოკლე ანოტაცია	გამოსაყენებლად რეკომენდებული რაიონები
1	2	3	4
3.1.	მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიების სისტემა (დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).	გადმოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის მემცენარეობის ტრადიციული პროდუქტების (ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ჩაი და ა.შ.) წარმოებისათვის ნორმალური, ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების ძირითადი ღონისძიებანი.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.2.	მემცენარეობის პროდუქციის წარმოების მანქანათა სისტემა (დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).	მოცემულია რეკომენდაციები, თუ რა სიმძლავრის ენერგეტიკული საშუალება და ტექნოლოგიური მანქანა უნდა იქნას გამოყენებული ტრადიციული კულტურების მოვლა-მოყვანისათვის ნორმალური, ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიებით წარმოებისათვის.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.

3.3.	მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების სისტემა (დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).	მოცემულია ღონისძიებების ჩამონათვალი მეცხოველეობის პროდუქტების და საკვების წარმოებისათვის ნორმალური, ინტენსიური და მაღალი ტექნოლოგიებით.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.4.	მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მანქანათა სისტემა (დაბეჭდილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით).	მოცემულია მეცხოველეობის პროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოებისათვის საჭირო მანქანების ტექნიკური მახასიათებლები.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.5.	ადაპტური თვითმავალი შასი ფერმერული მეურნეობებისათვის.	ექსპერიმენტული ნიმუშის დონეზე დამზადებულია და გამოცდილია თვითმავალი შასი წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ხვნის, ისე მოვლა-მოყვანის სამუშაოებისათვის. ამისათვის მის კონსტრუქციაში ჩადებულია შესაძლებლობა შეიცვალოს საშუქი (კლირენსი) და ლიანდი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სიმაღლისა და რიგთაშორისების შესაბამისად.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.6.	გადაზრდილი და დეგრადირებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სამანქანო ტექნოლოგია და მანქანათა კომპლექსი.	დამზადებული და გამოცდილია ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის ან ამოძირკვის მანქანათა კომპლექსი, რომელიც შედგება შემდეგი მანქანებისაგან: გადაზრდილი ჩაის პლანტაციების სასხლავ-დამაქუცმაცებელი მანქანა; კულტივატორი დაქუცმაცებული მასის ნიადაგში ჩასახნავად; პასიური მუშა ორგანოებიანი მანქანა ფესვთა სისტემის ამოძირკვისათვის; აქტიური მუშა ორგანოებიანი მანქანა ფესვთა სისტემის ნიადაგში ჩაკეპვისათვის. სხვადასხვა ორგანიზაციების დაკვეთით დამზადებულია	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის

		და წარმოებაში გამოიყენება 10 კომპლექტი ასეთი მანქანებისა.	
3.7.	«შეფუთული სენაჟის“ ტექნოლოგიით საკვების დამზადების დანადგარი.	ექსპერიმენტული ნიმუშის დონეზე დამზადებული და გამოცდილია სტაციონარული დანადგარი, რომელიც შნეკური ტიპის მუშა ორგანოთი ახდენს სენაჟის ბარდანებად დატკეპნას და ცელოფანის ტომრებში შეფუთვას. ამით წვრილ ფერმერულ მეურნეობებს საშუალება მიეცემათ მიაწოდონ საქონელს მაღალი უაღიანი საკვები მთელი წლის განმავლობაში. დანადგარი საშუალებას იძლევა გაწარმოთ საკვები მაღალი ტექნოლოგიით, მცირე კონტურიან, გზისპირა და ტყისპირა ნაკვეთებში.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.8.	გადასატანი დანადგარი ბიოგაზის წარმოებისათვის.	ექსპერიმენტული ნიმუშის დონეზე დამზადებული და გამოცდილია გადასატანი დანადგარი ბიოგაზის წარმოებისათვის. იგი გამოსაყენებელია როგორც წვრილი ფერმერული მეურნეობებისათვის, ისე საქონლის საძოვრებზე გადაყვანის დროს.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.9.	ხილ-ბოსტნეულის საშრობი დანადგარი.	ექსპერიმენტული ნიმუშის დონეზე დამზადებული და გამოცდილია გადასატანი ტიპის ხილ-ბოსტნეულის საშრობი დანადგარი მზის ენერჯის გამოყენებით.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის
3.10.	კარტოფილის სარგავი კომბინირებული მანქანა (რეკომენდაცია).	ექსპერიმენტული ნიმუშის დონეზე დამზადებული და გამოცდილია კომბინირებული მანქანა, რომელიც 10 ⁰ - მდე დახრილობის ფერდობზე ერთი გავლით ასრულებს ნიადაგის დამუშავების დაბაზოების და კარტოფილის დარგვის ოპერაციებს.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.11.	ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებანი და	საქართველოს პირობების გათვალისწინებით მოცემულია საუ-ის	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის

	ტექნიკური საშუალებები (რეკომენდაცია).	მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში დამუშავებული რეკომენდაციები ნიადაგების ეროზიისგან დასაცავად.	
3.12.	სამუშაოთა მექანიზაცია მევენახეობაში (რეკომენდაცია).	მოცემულია მევენახეობაში სამუშაოთა მექანიზაციის სამანქანო ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებანი თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.13.	“შეფუთული სენაჟის” დამზადება მცირე კონტურიან სათიბებში (რეკომენდაცია).	რეკომენდაციებში მოცემულია “შეფუთული სენაჟის” დამზადების თანამედროვე ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებანი მცირე კონტურიანი სათიბებისთვის.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.14.	ნამყენი ნერგის წარმოების მექანიზაცია ვაზის სანერგე მეურნეობაში (რეკომენდაცია).	მოცემულია საუ-ის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში შექმნილი ხელით სამყნობი აპარატით ვაზის ნამყენი ნერგის წარმოების ტექნოლოგია.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონი
3.15.	კარტოფილის მოვლა-მოყვანა მცირეკონტურიან ნაკვეთებში დაბაზოების ტექნოლოგიით (რეკომენდაცია).	მოცემულია საუ-ის მექანიზაციის და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტში დამუშავებული უნივერსალური მანქანის გამოყენების რეკომენდაციები კარტოფილის მოვლა-მოყვანისათვის.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.16.	მაწოვარი ნეზვისა და ძუძუთა გოჭის შესანახავი მექანიზებული დოლურა (რეკომენდაცია).	მოცემულია მექანიზებული დოლურას კონსტრუქციის აღწერა და მისი გამოყენების რეკომენდაციები მაწოვარა ნეზვისა და ძუძუთა გოჭების შენახვისათვის.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონისათვის.
3.17.	მოწყობილობა მანქანების გაცვეთილი დეტალების ელექტრო-ნაპერწკლური ლევირებით აღდგენისათვის	დაპროექტებული, დამზადებული და გამოცდილია მოწყობილობა მანქანების გაცვეთილი დეტალების ელექტრო-ნაპერწკლური ლევირებით აღდგენისათვის, რომელიც მარტივი, მოსახერხებელი და ადვილად დასამზადებელია. ის საშუალებას იძლევა ადვადგინოთ ისეთი დეფიციტური გაცვეთილი	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონის ფერმერული და გლეხური მეურნეობებისათვის.

		დეტალები, როგორცაა გუთნის სახნისი, ფრთა, კულტივატორის თათები და სხვა დეტალები.	
3.18.	მონოგრაფია“სამეცნიერო-მეთოდური რეკომენდაციები საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების საიმედოობის გაანგარიშების, გაზრდისა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის”.	გამოკვლეულია საქართველოში შემოტანილი საზღვარგარეთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საექსპლუატაციო საიმედოობის მაჩვენებლები, დადგენილია ყველაზე ნაკლებად საიმედო კვანძები და დეტალები, შემუშავებულია მათი საიმედოობის გაზრდის ტექნოლოგიური ხერხები ელექტრო-ნაპერწკლური ლევირებისა და დაქრომვის გამოყენებით. მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით დამუშავებული და რეალიზებულია მეთოდიკა მანქანების საიმედოობაზე გაანგარიშებისათვის, დეტალების აღდგენითი პროცესების ოპტიმიზაციისათვის, მანქანების სერვის ცენტრების ოპტიმალური განლაგებისა და ტექნიკური სერვისის რაციონალური ფორმების შერჩევისათვის, რომელთა პრაქტიკული გამოყენებისათვის წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები	დეკომენდებულია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს “მექანიზატორის”, ფერმერული მეურნეობების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (უნივერსიტეტები, ინსტიტუტები) აგროსაინჟინრო სპეციალობებისათვის
3.19.	გუთანი ცვალებადი მოდელების განით	მიღებული პატენტის ბაზაზე დამზადებულია გუთანი ცვალებადი მოდელების განით, რომელიც საშუალებას იძლევა ოპერატორმა კაბინიდან უშუალოდ ცვალოს გუთნის მოდელების განი ავტომატიურად.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რეგიონის ფერმერული და გლეხური მეურნეობებისათვის.
3.20.	გაცვეთილი პრეციზიული დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ტექნოლოგია	გაცვეთილი პრეციზიული დეტალების აღდგენის რესურსდამზოგი ტექნოლოგია	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონის სარემონტო საწარმოებისათვის.

3.21.	მწვანე და შავი ბაიხის ჩაის ინტენსიური ტექნოლოგია მცირეგაბარტიანი დამქუცმაცებელი მანქანა "ჩმდს" გამოყენებით	მანქანის წარმადობა 100 კგ/საათში, მასში მწვანე ჩაის გამომუშავებისას, მიიღწევა ნედლეულის იმავდროული ფიქსაცია.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს ჩაის მწარმოებელ რაიონებში.
3.22.	კივის და თხილის მოვლა – მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიები	დამუშავებულია კივის და თხილის მოვლა – მოყვანის სამანქანო ტექნოლოგიები და განსაზღვრულია ენერგეტიკული დანახარჯები.	რეკომენდებულია დასავლეთ საქართველოს კივის და თხილის მწარმოებელ რაიონებში.
3.23.	ენერგო რესურსდამზოგავი საღნობი დანადგარი ნაზი ჩაის ნედლეულის მაღალეფექტური ღნობისათვის.	პროცესი ხორციელდება ბუნებრივი ღნობის იდენტურ რეჟიმში დაბალ ტემპერატურაზე (20-25 ⁰) გახანგრძლივებული რეჟიმით, იძლევა სათბურის ეკონომიას 70%-ს.	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის.
3.24.	"ტროფის" ტიპის ენერგო რესურსდამზოგავი საღნობი დანადგარი დანადგარი ნაზი ჩაის ნედლეულის მაღალეფექტური ღნობისათვის.	შემოთავაზებულ საღნობ დანადგარში ღნობა ხორციელდება ბუნებრივი ღნობის იდენტურ რეჟიმში დაბალ ტემპერატურაზე (20-25 ⁰) გახანგრძლივებული რეჟიმით, იძლევა სათბური და ელექტროენერჯის ეკონომიას 70%-ს.	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის.
3.25.	თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის საკვების მოსამზადებელი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები.	დამუშავებულია თუთის ყლორტებიდან ფოთლის გამცლელი მოწყობილობა. მწარმოებლურობა 85 - 95 კგ/სთ.	რეკომენდებულია საქართველოს რაიონების ფერმერული მეურნეობებისათვის, სადაც შესაძლებელია მეაბრეშუმეობის დარგის წარმოება.
3.26.	თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის საკვების მოსამზადებელი მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები.	დამუშავებულია I,II,III და IV ასაკის თუთის აბრეშუმხვევიას გამოკვებისათვის ფოთოლსაჭრელი მოწყობილობა. ფოთლების დაჭრის დიაპაზონი 3,0 – 30,0 მმ; მწარმოებლურობა 60-300 კგ/სთ.	საქართველოს რაიონების ფერმერული მეურნეობებისათვის, სადაც შესაძლებელია მეაბრეშუმეობის დარგის წარმოება.
3.27.	თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები მარტივი ტიპის მოწყობილობა.	დამუშავებულია ყველა ასაკის თუთის აბრეშუმხვევიასათვის გამოსაკვები მარტივი ტიპის მოწყობილობა ნაძირის საჭიე შენობის გარეთ გამტანი	საქართველოს რაიონების ფერმერული მეურნეობებისათვის, სადაც შესაძლებელია

	მექანიზმით. მოწყობილობის ერთი მოდულის გამოსაკვები ფართობი - 6,0 მ ² .	მეაბრეშუმეობის დარგის წარმოება.
--	--	---------------------------------

IV. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის და ბაღამუშავების სამეცნიერო განყოფილება
აკადემიკოს-მდივანი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი
ნუგზარ ბაღათური

№	ღონისძიებების დასახელება	ღონისძიებების მოკლე ანოტაცია	გამოსაყენებლად რეკომენდებული რაიონები
1	2	3	4
4.1.	პურის ნატურალური გაუმჯობესების ტექნოლოგია	პურცხობის მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად ხელოვნური გამაუმჯობესებლის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყურძნიდან სპეციალური ტექნოლოგიით მიღებული ნატურალური პროდუქტები. ღონისძიების გამოყენება ააცილებს პურის მომხმარებლებს ურთულესი დაავადების ცელიაკიისა და სხვა საშიში დაავადებებისაგან.	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონის პურცხობის ობიექტებისათვის.
4.2.	ანტიოქსიდანტური უალკოჰოლო ღვინის წარმოების ტექნოლოგიები	მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით უზრუნველყოფა	რეკომენდებულია საქართველოს რადიაციით დაბინძურებული რაიონებისათვის
4.3.	ხილ-კენკროვანთა ანტიოქსიდანტური ფრუქტოზული წვენების წარმოების ტექნოლოგია	კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებულია ხილ-კენკროვანთა ნედლეულიდან ფრუქტოზითა და ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული ნატურალური წვენების (ბიოანტი) წარმოების ტექნოლოგია. ახალი პროდუქტი შეიძლება გამოყენებული იქნას დიაბეტით დაავადებულთა სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისათვის. მსგავს პროდუქტებზე ასევე დიდია მოთხოვნილება რადიაციით დაბინძურებულ რეგიონებში	რეკომენდებულია საქართველოს რადიაციით დაბინძურებული რაიონებისათვის.

		მცხოვრები მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვებისათვის.	
4.4.	მანდარინის თხევადი ნაყოფების წარმოების ტექნოლოგია	დამუშავებულია მანდარინის ნაყოფების უნარჩენო გადამუშავების ტექნიკა და ტექნოლოგია. აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებით შეიძლება ვაწარმოთ საექსპორტო პროდუქცია ნატურალური საკვები დანამატების სახით.	რეკომენდებულია საექსპორტო პროდუქციის წარმოებისათვის
4.5.	მანდარინის ნაყოფების გადამუშავების კომპლექსური ტექნოლოგია	დამუშავებულია მანდარინის ნაყოფების კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა კვებისათვის გამიზნული პირურეს, დისტრილაციური ეთეროვანი ზეთისა და პექტინის პასტის მიღებას.	რეკომენდებულია ბავშვთა კვებისათვის
4.6.	ბალახოვანი ნედლეულიდან ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგია	სტუ-ის კვების მრეწველობის ინსტიტუტში დამუშავებული ეთეროვანი ზეთების მიღების ახალი ტექნოლოგიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენების შედეგად მიიღება ეკოლოგიურად სუფთა ეთეროვანი ზეთები, მკვეთრად მცირდება (50-60%-ით) 1 კგ ეთეროვანი ზეთის გამოსხდისათვის საჭირო ორთქლის ხარჯი, 50-60%-ით იზრდება გამოსახდელი აპარატების მწარმოებლურობა, რადგანაც შესაბამისად მცირდება გამოსახდელი ნედლეულის მასა.	რეკომენდებულია საქართველოს ეთეროვანი ზეთების გამოყენების ობიექტებისათვის.
4.7.	მაღალხარისხოვანი მწვანე ჩაის გამომუშავება ინტენსიური მოხალვით ახალი თაობის მომხალვაი დოის გამოყენებით	მწვანე ფოთლის მიხედვით მწარმოებლურობა არის 100 კგ/საათში, ელ.ენერგიის ხარჯი 50 კვტ/საათში.	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის
4.8.	ვიტამინიზირებული ჩაის წარმოების ტექნოლოგია	ჩაის ემატება ვიტამინებით მდიდარი მცენარეული ნედლეული – სტაფილო, ქაცვი, ასკილი, ციტრუსოვნები, აქტინიდია, ფეიჰოა. გამომუშავდება B-კაროტინით	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის

		(პროვიტამინი A) და C-ვიტამინით მდიდარი ჩაის პროდუქტები.	
4.9.	სტვეით გამიდრებული ბაიხის ჩაის წარმოება.	ბაიხის ჩაის გასამიდრებლად გამოიყენება, როგორც წინასწარ გამშრალი სტვეის მასა, ასევე მისგან მიღებული წყლიანი ექსტრაქტი განკუთვნილია ფართო მოხმარებისათვის, განსაკუთრებით დიაბეტით დაავადების მიდრეკილების მქონე ადამიანებისათვის.	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის
4.10.	იოდირებული ჩაის წარმოება.	ჩაის პროდუქტების იოდირება ხდება მცენარეული წარმოშობის იოდით, რომელიც ხორციელდება, როგორც ჩაის ფოთლის გადამუშავების პროცესში, ასევე მზა პროდუქციის მეორადი დამუშავებით. პროდუქტები რეკომენდირებულია ყველა ასაკის ადამიანებისათვის, განსაკუთრებით ჩიყვის დაავადების მიდრეკილების მქონეთათვის.	რეკომენდებულია საქართველოს ჩაის მწარმოებელი რაიონებისათვის
4.11.	ტოპინამბურისა და ტოპინმზესუმზირის წარმოება	წარმოება შესაძლებელია მსუბუქი მექანიკური შედგენილობის წითელმიწა, მუავე ნიადაგებზე, მოსავლიანობა 50-60 ტ. ტუბერი ჰა-ზე	რეკომენდებულია საქართველოს ყველა რაიონში.

**მეღვინეობის სფეროში გამოყენებული ტერმინებისა და განმარტებების შესახებ
სსმმ აკადემიის აკადემიკოსი ნუგზარ ბაღათურია**

1998 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ვაზისა და ღვინის შესახებ”. ამ კანონში მოყვანილი მეღვინეობის პროდუქციის ტერმინები და განმარტებები არ შეესაბამება არც ევროკავშირის და არც სხვა რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობებს, და მცდარია. მაგალითად, ბრენდის საქართველოს კანონში მოყვანილი განმარტება ეწინააღმდეგება ევროკავშირის მიერ მიღებულ რეგლამენტებს. კერძოდ, საქართველოს კანონი “ვაზისა და ღვინის შესახებ” აიძულებს მეწარმეს აწარმოოს მაღალხარისხოვანი პროდუქტი (კონიაკი) და მისცეს მას დაბალხარისხოვანი პროდუქტის – ბრენდის დასახელება. კანონი უკრძალავს მეწარმეს აწარმოოს ბრენდი იმ ტექნოლოგიით, რომელიც აღიარებულია ევროსაბჭოს მიერ და ამით ხელს უშლის საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების წარმოების სფეროში თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

დაუსაბუთებელი და ამდენად უსაფუძვლოა კანონში მოყვანილი ყურძნის არყის განმარტება; არომატიზირებული ღვინის კანონში მოყვანილი განმარტება, ასევე, არ შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს და ა.შ. (დაწვრილებით იხ. „შესწორებები

საქართველოს კანონში “ვაზისა და ღვინის შესახებ”. ქ. „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 2013, №3. გვ.64-69).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონში “ვაზისა და ღვინის შესახებ” მეცნიერულად დაუსაბუთებელი და პრაქტიკულად გაუმართებელი განმარტებების არსებობა ხელს უშლის საქართველოში მეწარმეობის განვითარებას და ამით წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მოთხოვნებთან.

საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეღვინეობის პროდუქციის, ისევე როგორც სხვა საექსპორტო პროდუქციის ტერმინებისა და განმარტებების მოყვანა იმპორტიორი ქვეყნების კანონმდებლობებთან. მხედველობაში ვიდებთ რა იმ უდაო ფაქტს, რომ რუსეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პოტენციურ იმპორტიორ ქვეყანას საქართველოს მეღვინეობის პროდუქციისათვის, ჩვენ გავითვალისწინეთ ამ ქვეყანაში არსებული სახელმწიფო სტანდარტებში არსებული ტერმინები და განმარტებები, მით უფრო, რომ რუსეთის კანონმდებლობა მაქსიმალურად ითვალისწინებს ამ სფეროში არსებულ ევროკავშირის მოთხოვნებს.

ქვემოთ მოყვანილი ძირითადი ტერმინები და განმარტებები შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს, რომლებიც აღგენენ მეღვინეობის ერთიანი ბაზრის ორგანიზაციას (1493/99, 17.05.99), არომატიზირებული ღვინოების განსაზღვრის, აღნიშვნისა და გაფორმების საერთო წესებს (№ 1601/91, 10.06.91), მაგარი სასმელების განსაზღვრის, აღნიშვნისა და გაფორმების საერთო მოთხოვნებს (№ 1576/89, 29.05.89).

მეღვინეობის პროდუქცია, ნედლეული და ნახევარფაბრიკატები ტერმინები და განმარტებები

<p>1. მზა პროდუქცია</p> <p>მეღვინეობის პროდუქცია</p>	<p>აღკოპოლური პროდუქტი, დამზადებული ყურძნის მარცვლების ან ხილის მთელი ან დაქუცმაცებული ნაყოფების ან მათი ტკბილის სრული დადუღებით; მათი გადადენით, შემდგომი დავარგებით ან დავარგების გარეშე.</p> <p>ყურძნის მარცვლების, ხილის ნედლეულის ან მათი ტკბილის სრული ან არასრული აღკოპოლური დუღილით, საკვები ნედლეულიდან მიღებული რექტიფიცირებული ეთილის სპირტის, ღვინის, ყურძნის ან ხილის სპირტების, ღვინის, ყურძნის ან ხილის დისტილატების, შაქარშემცველი ნივთიერებების, ნატურალური ან ნატურალურის იდენტური საკვები არომატიზატორების, ნახშირბადის ორჟანგის დამატებით ან დამატების გარეშე.</p>
<p>1.1. ღვინო</p>	<p>მეღვინეობის პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურ-</p>

	<p>ძნის ტკბილის სპირტული დუდილის შედგენად.</p>
<p><i>1.1.1. სუფრის ღვინო</i></p>	<p>მელვინეობის პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურძნის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუდილის შედგენად. ღვინოში ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 9,0-15%.</p>
<p><i>1.1.1.ა. სუფრის მშრალი ღვინო</i></p> <p><i>1.1.1.ბ. სუფრის ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და ტკბილი ღვინოები</i></p>	<p>ახლადდაკრეფილი ყურძნის მთელი ან დაქუცმაცებული მარცვლების ან ყურძნის ტკბილის სრული სპირტული დადულებით დამზადებული ღვინო.</p> <p>ღვინოები, დამზადებული ალკოჰოლური დუდილის შეწყვეტით, ნარჩენი შაქრიანობის მოთხოვნით მნიშვნელობაზე ან მშრალი ღვინომასალის ყურძნის ტკბილთან, კონცენტრირებულ ყურძნის ტკბილთან ან რექტიფიცირებულ კონცენტრირებულ ყურძნის ტკბილთან შერევით.</p>
<p><i>1.1.2 ლიქიორული ღვინო</i></p>	<p>მზადდება: მხოლოდ ყურძნისეული წარმოშობის ეთილის სპირტის გამოყენებით. ეთილის სპირტის შექმნილი მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 15 და არაუმეტეს 22%. ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი – არანაკლებ 17,5%, ზოგიერთი ადგილწარმოშობის დასახელების მაღალხარისხოვანი ლიქიორული ღვინოების გარდა.</p> <p>მიიღება:</p> <ul style="list-style-type: none"> – ან ყურძნის ტკბილისაგან, მისი დადულების პროცესში, – ან ღვინისაგან, – ან აღნიშნული პროდუქტების ნარევისაგან. <p>ემატება:</p> <ul style="list-style-type: none"> – ყურძნისეული წარმოშობის ნეიტრალური სპირტი, რომლის შექმნილი მოცულობითი წილი შეადგენს არანაკ-

	<p>ლებ 96%,</p> <ul style="list-style-type: none"> - ღვინის დისტილატი, რომელიც შეიცავს არანაკლებ 52% და არაუმეტეს 86% შექმნილ მოცულობით წილ ეთილის სპირტს, - ყურძნის კონცენტრირებული ტკბილი.
<i>1.1.3. ცქრიალა ღვინო</i>	<p>პროდუქტი, დამზადებული ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური დუდილის ან ღვინომასალების მეორადი ალკოჰოლური დუდილის შედეგად წარმოქმნილი ნახშირბადის დიოქსიდით ღვინომასალების გაჯერების შედეგად. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 8,5-დან 12,5%-მდე.</p>
<i>1.1.4. მარგალიტის ცქრიალა ღვინო</i>	<p>ცქრიალა ღვინო, რომლისთვისაც ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს 100-დან 250კპა.</p>
<i>1.1.5. რუსეთის (საბჭოთა) შამპანური</i>	<p>სპეციალური ჯიშების ყურძნისაგან დამზადებული ცქრიალა ღვინო. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 350კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 10,5-დან 12,5%-მდე.</p>
<i>1.1.6. დაგაზული ღვინო</i>	<p>პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალების ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნური გაჯერებით. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 8,5-დან 12,5%-მდე.</p>
<i>1.1.7. დაგაზული მარგალიტის ღვინო</i>	<p>დაგაზული ღვინო, რომლისთვისაც ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს 100-დან 250კპა.</p>
<i>1.1.4 ადგილწარმოშობის მიხედვით კონტროლირებული დასახელების ღვინო</i>	<p>ყველა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინო, რომლის დასამზადებლად გამოსაყენებელი ყურძენი მოიყვანება იმ გარკვეულ გეოგრაფიულ ადგილზე, რომ-</p>

	ლის ნიადაგობრივ –კლიმატური პირობები ღვინოს სძენს გამორჩეულად მაღალ ორგანოლექტიკურ მაჩვენებლებს.
1.2 არომატიზირებული ღვინო	მელვინეობის პროდუქტი, ეთილის სპირტის მოცულობითი წილით 14,5-დან 22,0%-დე, დამზადებული სუფრის, ლიქიორული, დაგაზული, ცქრიალა ღვინოებისაგან, რომლებშიც დამატებულია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტი, ნატურალური არომატიკული და საგემოვნო ნივთიერებები, ასევე ყურძნის ტკბილი, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილი და სხვა შაქარშემცველი ნივთიერებები. პროდუქტში სუფრის ღვინის, ლიქიორული ღვინის, დაგაზული ღვინის, ცქრიალა ღვინის, ყურძნის ტკბილის, კონცენტრირებული ყურძნის ტკბილისა და სხვა ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტებისა და მათი ნარეგების საერთო მოცულობითი წილი არ უნდა იყოს არომატიზირებული ღვინის მოცულობის 75%-ზე ნაკლები.
1.3. ხილ-კენკროვანთა ღვინოები	პროდუქტები, დამზადებული დაქუცმაცებული ხილის ნაყოფების ან ხილის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუდილის შედეგად, მელვინეობაში დაშვებული ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით, თითოეული მათი ტიპისათვის დამახასიათებელი ორგანოლექტიკური თვისებების მისანიჭებლად. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-დან 22,0%-დე.
1.3.1. ხილ-კენკროვანთა სუფრის ღვინო	პროდუქტი, დამზადებული დაქუცმაცებული ხილის ნაყოფების ან ხილის ტკბილის სრული ან არასრული სპირტული დუდილის შედეგად, შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-დან 15,0%-დე.
1.3.2. ხილ-კენკროვანთა სპეციალური ღვინო	ხილის ღვინომასალისაგან წარმოებული პროდუქტი, საკვები ნედლეულიდან

	მიღებული ეთილის სპირტისა და შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 15-დან 22,0%-დე.
<i>1.3.3. ხილ-კენკროვანთა არომატიზირებული ღვინო</i>	ხილის ღვინომასალისაგან წარმოებული პროდუქტი, საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის, შაქარშემცველი, არომატული და საგემოვნო ნივთიერებების დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 14,5-დან 22,0%-დე.
<i>1.3.4. ხილ-კენკროვანთა თაფლის ღვინო</i>	პროდუქტი, დამზადებული თაფლისა და ხილის ტკბილების სრული ან არასრული სპირტული დუდილის შედეგად, საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტისა და შაქარშემცველი ნივთიერებების დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს 8,5-დან 22,0%-დე.
1.4. ყურძნისა და ხილის მაგარი სასმელები	
<i>1.4.1. ღვინისაგან მიღებული სპირტიანი სასმელი</i>	სპირტიანი სასმელი, დამზადებული ღვინის გადადენით მიღებული დისტილატის გამოყენებით. სასმელში მეთილის სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 2,0გ/დმ ³ აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით.
<i>1.4.2. ღვინისაგან მიღებული ადგილწარმოშობის დასახელების სპირტიანი სასმელი</i>	სპირტიანი სასმელი, რომლის დასახელება მიუთითებს პროდუქციის წარმოშობის იმ ქვეყანაზე, რაიონზე ან ქვეყნის სხვა ადგილზე, სადაც არსებული კანონის დაცვით იწარმოებოდა და ამ დასახელებით გაეთქვა მას სახელი.
<i>1.4.3 კონიაკი</i>	მელვინეობის პროდუქტი, დამზადებული საკონიაკე დისტილატის მუხის ტკეჩთან კონტაქტში არანაკლებ 3 წლის განმავლობაში დავარგებით. პროდუქტში ეთილის სპირტის მოცულობითი წილი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 40%;

	<p>უმადლესი სპირტების მასური კონცენტრაცია კონიაკში უნდა იყოს არანაკლებ 170 მგ/100სმ³ და არაუმეტეს 500 მგ/100სმ³, უწყლო სპირტზე გადაანგარიშებით; მქროლავი მუავეების მასური კონცენტრაცია, ძმარმუავეზე გადაანგარიშებით, კონიაკში უნდა იყოს არაუმეტეს 200 მგ/100სმ³-ზე მეტი; მეთილის სპირტის მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 2,0 გ/დმ³, უწყლო სპირტზე გადაანგარიშებით;</p>
<p>1.4.5. ბრენდი</p>	<p>ღვინის დისტილაციისაგან დამზადებული პროდუქტი, 94,8 მოც.% სიმაგრის მქონე ღვინის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე. ღვინის სპირტის მოცულობითი წილი სასმელში არ უნდა აღემატებოდეს ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილის 50%-ს; დაძველებული მუხის ტკეჩთან კონტაქტში არანაკლებ 1 წლის განმავლობაში; მეთილის სპირტის შემცველობა სასმელში არ უნდა აღემატებოდეს 2,0 გ/დმ³, აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – არანაკლებ 37,5%.</p>
<p>1.4.6. ყურძნის არაყი</p>	<p>სპირტიანი სასმელი, დამზადებული ღვინის ან ყურძნის დისტილაციის გამოყენებით, ღვინის ან ყურძნის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი სასმელში შეადგენს არანაკლებ 37,5%.</p>
<p>1.4.7. დადუღებული ჭაჭის არაყი</p>	<p>სპირტიანი სასმელი, დამზადებული დადუღებული ჭაჭის უშუალოდ წყლის მწვავე ორთქლით გადადენით ან ჭაჭაზე წყლის დამატებითა და შემდგომი ჰიდროდისტილაციით. ჭაჭის მასური წილი გადასადენ მასაში უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 86%. სასმელში მეთილის სპირტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 10,0 გ/დმ³ აბსოლუტურ სპირტზე გადაანგარიშებით.</p>
<p>1.4.8. ხილის არაყი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ერთი ან რამდენიმე დასახელების ხილის დის-</p>

	ტილატებისაგან, ხილის რექტიფიცირებული სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე; გააჩნია გამოყენებული ნედლეულის გემო და არომატი. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს 37,5-55,0%.
1.4.9. რუსული კალვადოსი	ხილის (ვაშლის) არაყი, დამზადებული კალვადოსის დისტილატისაგან, დავარგებული არანაკლებ 6 თვის განმავლობაში მუხის ტკეხთან კონტაქტში. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 38,0-40,0%.
1.5. ღვინოზე დამზადებული ალკოჰოლური სასმელები	
1.5.1. ღვინის სასმელი	პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალის, შაქარშემცველი, არომატული, საგემოვნო ნივთიერებებისა და წყლის გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე. ღვინომასალის მოცულობითი წილი პროდუქტში არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.
1.5.2. ღვინის დაგაზული კოქტეილი	ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებული ღვინის სასმელი. ბოთლში არსებული წნევა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 5-დან 12%-მდე.
1.5.3. სიდრი	პროდუქტი, დამზადებული ხილის ღვინომასალების ნახშირბადის დიოქსიდით ხელოვნურად გაჯერებით ან ხილის ღვინომასალების მეორადი ალკოჰოლური დუღილის შედეგად წარმოქმნილი ნახშირბადის დიოქსიდით გაჯერების შედეგად. ბოთლში არსებული წნევა 20°C-ზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200კპა, ეთილის სპირტის მოცულობითი წილი – 5-დან 8,5%-მდე.
2.1 ყურძნის ნედლეული და ნახევარფაბრიკატები	მეღვინეობაში გამოყენებული ყურძნის მწიფე ნაყოფი, რომელიც შეიძლება და-

<p>2.1.1. ახლადდაკრეფილი ყურძენი (ახლადდაკრეფილი ყურძნის მარცვლები)</p>	<p>ქუცმაცდეს ან დაიწნეხოს მეღვინეობის ჩვეულებრივი საშუალებებით, და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს თავისთავადი (სპონტანური) სპირტული დუღილი.</p>
<p>2.1.2. ყურძნის ტკბილი</p>	<p>თხევადი პროდუქტი, რომელიც მიიღება ახლადდაკრეფილ ყურძენზე ფიზიკური ზემოქმედების (დაწნეხვის) შედეგად. დასაშვებია ყურძნის ტკბილში არაუმეტეს 1 მოც. % შექმნილი ეთილის სპირტის არსებობა.</p>
<p>2.1.3. ყურძნის კონცენტრირებული ტკბილი</p>	<p>ტკბილი, რომელიც მიიღება ყურძნის ტკბილის ნებისმიერი დაშვებული მეთოდით ნაწილობრივი გაუწყლოებით, გარდა ღია ცეცხლისა. პროდუქტში მშრალი ნივთიერებების შემცველობა შეადგენს 50,9 % (რეფრაქტომეტრით).</p>
<p>2.1.4 ყურძნის წვენი</p>	<p>დაუდუღებელი (მაგრამ დადუღების უნარის მქონე) თხევადი პროდუქტი, რომელიც მიიღება შესაბამისი დამუშავებით, ასეთივე სახით მოსახმარებლად. მიიღება:</p> <p>ა) ახლადდაკრეფილი ყურძნის მარცვლებიდან, ან ყურძნის ტკბილისაგან ან ბ) აღდგენის გზით:</p> <ul style="list-style-type: none"> - კონცენტრირებული ყურძნის ტკბილის, - კონცენტრირებული ყურძნის წვენის. <p>დასაშვებია ყურძნის წვენში არაუმეტეს 1 მოც. % შექმნილი ეთილის სპირტის არსებობა.</p>
<p>2.1.5. ყურძნის კონცენტრირებული წვენი</p>	<p>არაკარამელიზირებული ყურძნის წვენი, რომელიც მიიღება ყურძნის წვენის ნებისმიერი დაშვებული ხერხით ნაწილობრივი გაუწყლოებით, გარდა ღია ცეცხლისა. პროდუქტში მშრალი ნივთიერებების შემცველობა რეფრაქტომეტრით არ უნდა აღემატებოდეს 50,9%. დასაშვებია ყურძნის წვენში არაუმეტეს 1 მოც. % შექმნილი ეთილის სპირტის არსებობა.</p>

<p>2.2. ღვინომასალები და ყურძნისა და ხილის ალკოჰოლშემცველი ტკბილები</p>	
<p>2.2.1 ღვინომასალები</p>	<p>ღვინოები ჩამოსხმით, გამიზნული სამომხმარებლო ტარაში ჩამოსასხმელად ან სხვადასხვა სახის მეღვინეობის პროდუქციის დასამზადებლად;</p>
<p>2.2.2. ყურძნის დასპირტული ტკბილი (მისტელი)</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ახლადდაწურულ ყურძნის ტკბილზე საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 15-25%.</p>
<p>2.2.3. ხილის დასპირტული ტკბილი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ახლადგამოწურული ხილის ტკბილის საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 15-25%.</p>
<p>2.2.4. ნაწილობრივ დადუღებული ყურძნის ტკბილი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ყურძნის ტკბილის დადუღებით, აქვს 1%-ზე მეტი ეთილის სპირტის შექმნილი მოცულობითი წილი და ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილის 3/5-ზე ნაკლები რაოდენობა; ამასთან, ადგილწარმოშობის დასახელების ზოგიერთი მაღალხარისხოვანი ღვინოები, რომლებშიც შექმნილი ეთილის სპირტის მოცულობითი წილი ნაკლებია ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილის 3/5-ზე, მაგრამ არანაკლებ 5,5 მოც.%, არ განიხილება ნაწილობრივ დადუღებულ ტკბილად.</p>
<p>2.2.5. ნაწილობრივ დადუღებული ხილის ტკბილი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ხილის ტკბილის დადუღებით, აქვს 1%-ზე მეტი ეთილის სპირტის შექმნილი მოცულობითი წილი და ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილის 3/5-ზე ნაკლები რაოდენობა.</p>

<p>2.2.6. ხილის დადუღებული ტკბილი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ახლადდაკრეფილი ხილის წვეწის ან დურდოს დადუღებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 4,0-8,5მოც.%. </p>
<p>2.2.7. ხილის დადუღებულ-დასპირტული ტკბილი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ხილის ტკბილში საკვები ნედლეულიდან მიღებული ეთილის სპირტის დამატებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 16 მოც.%. </p>
<p>2.3. ყურძნისა და ხილის დისტილატები და სპირტები</p>	
<p>2.3.1 ღვინის დისტილატი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული სუფრის ღვინომასალების გადაღენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 52 - 86%. </p>
<p>2.3.2. საკონიაკე დისტილატი, ახალგაზრდა</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული არანაკლებ 7,5% ეთილის სპირტის მოცულობითი წილის მქონე სუფრის ღვინომასალების გადაღენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 62 - 70%. უმაღლესი სპირტების მასური კონცენტრაცია – 180-600მგ/100სმ³; მქროლავი მუავების მასური კონცენტრაცია, არაუმეტეს 80 მგ/100სმ³; </p>
<p>2.3.3. საკონიაკე დისტილატი, დავარგებული</p>	<p>საკონიაკე დისტილატი, რომელშიც ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 55-70%. მიიღება ახალგაზრდა საკონიაკე დისტილატის მუხის ტკეჩთან კონტაქტში დავარგებით. უმაღლესი სპირტების მასური კონცენტრაცია – 170-500მგ/100სმ³; მქროლავი მუავების მასური კონცენტრაცია - არაუმეტეს 250 მგ/100სმ³; </p>
<p>2.3.5. ხილის დისტილატი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ხილის დადუღებული ტკბილის, ხილის ნედლი სპირტის, ხილის გამონაპრესისა და ლექების გადაღენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 52 - 86%. </p>

<p>2.3.6. კალვადოსის დისტრილატი, ახალგაზრდა</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ხილის (ვაშლის) დადუღებული ტკბილის ფრაქციული გამოხდით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 62 - 70%.</p>
<p>2.3.7. კალვადოსის დისტრილატი, დავარგებული</p>	<p>მუხის ტკეჩთან კონტაქტში დავარგებული კალვადოსის ახალგაზრდა დისტრილატი. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს 55 - 70%.</p>
<p>2.3.8. ყურძნის ნედლი სპირტი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალების, დადუღებული ჭაჭის, ლექების გადადენით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს არაუმეტეს 40%.</p>
<p>2.3.9. ყურძნის რექტიფიცირებული სპირტი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული ღვინომასალების ან ყურძნის ნედლი სპირტის რექტიფიკაციით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი შეადგენს არანაკლებ 94,8%.</p>
<p>2.3.10. ღვინის სპირტი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული სუფრის ღვინომასალების ან ღვინის დისტრილატის გამოხდით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 86%.</p>
<p>2.3.11. ხილის ნედლი სპირტი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ხილის ტკბილის, ხილის გამონაპრესისა და ლექების დადუღებით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 30%.</p>
<p>2.3.12. ხილის რექტიფიცირებული სპირტი</p>	<p>პროდუქტი, დამზადებული დადუღებული ხილის ტკბილის ან ხილის ნედლი სპირტის რექტიფიკაციით. ეთილის სპირტის მოცულობითი წილი პროდუქტში შეადგენს არანაკლებ 94,8%.</p>

განმარტებები:

1. ეთილის სპირტის შექნილი მოცულობითი წილი: სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობა 20°C-ზე, რომელსაც პროდუქტი შეიცავს იმავე ტემპერატურაზე.
2. ეთილის სპირტის პოტენციური მოცულობითი წილი: სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობა 20°C-ზე, რომელიც შეიძლება იწარმოოს პროდუქტის 100 მოცულობაში არსებული შაქრების სრული დადუღებისას;
3. ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი: ეთილის სპირტის შექნილი და პოტენციური მოცულობითი წილების ჯამი;
4. ეთილის სპირტის ნატურალური მოცულობითი წილი: პროდუქტში არსებული ეთილის სპირტის საერთო მოცულობითი წილი, მისი ეთილის სპირტით გამდიდრებამდე;
5. ეთილის სპირტის შექნილი მასური წილი: სუფთა სპირტის კილოგრამების რაოდენობა, რომელსაც შეიცავს 100 კგ პროდუქტი;
6. ეთილის სპირტის პოტენციური მასური წილი: სუფთა სპირტის კილოგრამების რაოდენობა, რომელიც შეიძლება წარმოებულ იქნას 100 კგ პროდუქტში არსებული შაქრების სრული დადუღებისას;
7. ეთილის სპირტის საერთო მასური წილი: ეთილის სპირტის შექნილი და პოტენციური მასური წილების ჯამი.

V. ეკონომიკის სამეცნიერო ბანყოფილება

აკადემიკოს-მდივანი - სსმმ აკადემიის აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების მოკლე ანოტაცია	რეკომენდირებული რაიონები
1	2	3	4
5.1.	სასოფლო-სამეურნეო მენეჯმენტი	მენეჯმენტი და მ.შ. სასოფლო-სამეურნეოც, ნიშნავს ეკონომიკური განხორციელებისათვის და შრომითი რაციონალურად ფერმერული და (ზოგიერთი გლეხური) მეურნეობის დასახული ამოცანების მატერიალური რესურსების გამოყენებას, დანიშნულებაა, სასაქონლო პროდუქციის წარმოება. ამისათვის საჭიროა: შერჩეული პროდუქციისათვის, წინასწარ გამოიყოს და მომზადდეს: ა) ფართობი, ბ) ძირითადი სამუშაო (შრომითი) იარაღები, გ) საბრუნავი საშუალებები, დ) ფულადი სახსრები. მენეჯმენტი ასევე ნიშნავს ურთიერთობას, რომელიც შეიძლება იყოს: ა) საწარმო-ეკონომიკური, ბ) სამართლებრივ-უფლებრივი, გ) სამმართველო და ა.შ. სასოფლო სამეურნეო მენეჯმენტში	ფერმერული და გლეხური მეურნეობები

		“ურთიერთობა” ძირითადათ პროცესის ზემოქმედება-უკუქმედებაში კლინდება.	
5.2.	სასოფლო სამეურნეო მარკეტინგი	მარკეტინგი – წარმოებული პროდუქციის გასაღებას ნიშნავს, ანუ ფერმერის ან გლეხის ბაზასთან ურთიერთობას. იგი მოითხოვს საბაზრო კონიუქტურის, ფასების დინამიკის შესწავლას, რაც აუცილებელია წარმოებული პროდუქციის ეფექტიანად (ანუ მომგებიანად) გაყიდვისათვის.	ფერმერული და გლეხური მეურნეობები
5.3.	ფულად საკრედიტო სისტემა, რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობაშიც	ა. კრედიტი - არის ფულადი (ძირითადათ) ან სასაქონლო სესხი, რომელიც გაიცემა ბანკის (ან კრედიტის) მიერ პროცენტით (ან უპროცენტოდ) – დაბრუნების პირობით.	ფერმერული და გლეხური მეურნეობები
		ბ. საკრედიტო სისტემა – ეს არის, საკრედიტო ურთიერთობების, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა. აქვე იგულისხმება საკრედიტო დაწესებულებების სისტემაც. გ. საკრედიტო რისკი – მსესხებლის მხრიდან მიღებული კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაბრუნების ალბათობა (ანუ რისკი).	ფერმერული და გლეხური მეურნეობები
		დ. კრედიტის სესხები: 1. მოკლევადიანი, რომელიც გაიცემა ერთ წლამდე, 2. გრძელვადიანი – გაიცემა ერთ წელზე მეტი ხნით, 3. სამომხმარებლო – საქონლისა და გაწეული მომსახურების ხარჯების დასაფარავად, 4. ფერმერული – იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ურთიერთშორის სასესხო ვალდებულებების სახით, 5. იპოთეკური – რომელიც გაიცემა უძრავი (ან სხვა ქონების) სანაცვლოდ.	ფერმერული და გლეხური მეურნეობები
5.4.	რისკის გამართლებისა და მართვის	რეკომენდაციაში მოცემულია ფერმერული მეურნეობებისათვის გამოსაყენებელი რეკომენდაციები	საქართველოს ყველა რეგიონის ფერმერული და

	<p>სარეკომენდაციო – პარამეტრული პოზიციები ფერმერული მეურნეობებისათვის.</p>	<p>სამეურნეო რისკის მიზანშეწონილობისა და უკუგების ეკონომიკური ზღვრების შესახებ, აგრეთვე მათი სინთეზირებული პარამეტრების ოპტიმიზირებული დონეები, მართვის სარეკომენდაციო – პარამეტრული პოზიციები.</p>	<p>გლეხური მეურნეობებისათვის</p>
--	--	---	--------------------------------------



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

ACADEMY OF AGRICULTURAL
SCIENCE OF GEORGIA

www.gaas.dsl.ge

E-mail: acad.as@gaas.dsl.ge

Tel/Fax: (+995 32) 294 13 21